# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი!**

№ 93 ხუთშაბათი, 29 აპრილი 1910 წ. № 93

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ ხაზამდე 4 საათამდე ღირს 3 მ., ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელს არ ინახება [illegible] დღეს, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. [illegible]

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „Дроэба".

ცალკე ნომერი ყველგან [illegible] შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



23 აპრილს გარდაიცვალა ქ. ქუთაისში კაპიტანი

**კონსტანტინე ანდრიას ძე მარჯანიშვილი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებულის მეუღლე **მარიამ სიმონ ბაგრატიონის ასული**, ძენი **ვიქტორ** და **ნიკოლოზ**, ასულნი **ოლღა, ბარბალე** და **ანნა** და სიძე **ერასტი სიმონის ძე თუთბერიძე**. პანაშვიდები ყოველ დღე საკუთარ სახლში (არქიელის გორაზე) საღამოს 6 ნახევარ საათზ. ცხედრის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ბაგრატის ტაძრის სასაფლაოზე, პარასკევს, 30 აპრილს, ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე. (2—კვ.—1)

„საარტისტო საზოგად." თეატრი

## 25 წ. საიუბილეო დღესასწაული 25 წ.

**ხუთშაბათს, 6 მაისს**

ქართულ და სომხურ დრამატიულ საზოგ. გამგეობათა-მიერ ქართულ და სომხურ სცენების არტისტის გედეონ ვასილის ძის

## გედევანოვ-მირალიანის

25 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება

## სადღესასწაულო წარმოდგენა

**წარმოდგენილი იქნება:**

I. **ქართულად:** მოლიერის **ტარტიუფი** მეოთხე მოქმედება, რეჟისორი კ. შათირიშვილი.
II. **სომხურად:** გ. სუნდუკიანცის **დაქცეული ოჯახი** პირველი მოქმედება, რეჟისორი ომ. მაისურიანი.
III. **ქართულად:** ა. ცაგარლის **ხანუმა** მეორე მოქმედება, რეჟისორი კ. შათირიშვილი.

**მილოცვები, ადრესები და სხვა.**

მონაწილეობას იღებენ: (ანბანთა რიგით) ქნნი ტ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. ვართუი, თ. გოგოლაშვილი, ა. კარგარეთელი, მ. მელიქიანი, ელ. ჩერქეზიშვილი, ვ. ჩიმიშკიანი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი-მირალიანი, ნ. გოცირიძე, ა. იმედაშვილი, ა. მამოკონიანი, დ. მგალობლიშვილი, ი, ზ. ტერდავითიანი.

**ადგილების ფასი საბენეფისოა.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**საიუბილეო კომისია.**

**კვირას, მაისის 2-სა მუშტაიდის ბაღში**

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება

## დიდი სეირნობა და ლატარია-ალეგრი

**განყოფილება პირველი:**

შუადღის 11 საათიდან 3 საათამდის

## საბავშვო დღესასწაული

მუსიკა. თამაშობა. გაჯიბრება საჩუქრებით.

საღამოს 5 საათიდან 11 საათამდის

**განყოფილება მეორე:**

1. გიმნასტიური ვარჯიშობა „სოკოლის" (შევარდენის) საზოგადოების წევრებისა.
2. კონცერტი ქართულ ხოროსი ბ-ნ ა. კავსაძის ხელმძღვანელობით.

**განყოფილება მესამე:**

ლატარია-ალეგრი (ცალკე პავილიონში). ლატარიაში ჩაგდებული იქნება 800 ნივთი. დიდი სარკე, ძროხა, ცხვრები, ვერცხლისა და სხვა ძვირფასი ნივთები. ფასი ლატარიის ბილეთისა 20 კ. პავილიონში შესვლა 1 მან.

**განყოფილება მეოთხე:**

**ჟინჟღილა შუშხუნები**

ბაღში შესვლა ღირს ბავშვებისთვის 15 კ. დიდებისთვის 25 კ. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი.

**ბუფეტი; ჩაი, ყვავილები, სერპანტინი.** (8—7)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- დ[illegible]ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 სა[illegible]
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 [illegible]
**გურკო გ. ф.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ф.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი გ ს.** თვალის, ორშ., ოთხშ და პარასკ. 2 2-ნახ. ს.
**ფირალოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე [illegible]
**პაპოვი გ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—1[illegible] ს.
**სოშილევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—164)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—51)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—112)

## ქართული თეატრი

შაბათს, 8 მაისს, 1910 წ. **გრიგოლ რობაქიძე** გამართავს

## ლიტერატურულ საღამოს,

სადაც ყოველი მონაწილე თავის ნაწარმოებს წაიკითხავს.

**ბელეტრისტულ ესკიზებს წაიკითხავენ:** ადაშიშვილი, არაგვისპირელი, გრ. დიასამიძე, ილ. ელეფთერიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლევ. მეტრეველი და სვ. ყიფიანი.

**ლექსებს წაიკითხავენ:** ახოსპირელი, გრიშაშვილი, მაყაშვილი და შანშიაშვილი.

**კრიტიკულ ეტიუდებს წაიკითხავენ:** კიტა აბაშიძე (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვეფხის ტყაოსანი როგორც სიმბოლო"), ივ. გომართელი (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვახტანგ ორბელიანის პოეზია") და გრ. რობაქიძე (წაიკითხავს ნაწყვეტს ლექციიდან: „რუსთაველის შემოქმედება").

**დაწვრილებით პროგრამებში.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები ეხლავ იყიდება თეატრის კასსაში. (6—2)

## საბურთალოზე

სასტუმრო „დარიალის" მახლობლად დაიჭრა ოცი დესეტინა მამული ნაჭრებად და იყიდება. იქვე იძლევა ორი მშვენიერი შენობა სასტუმროებით—„რასსვეტი" და „ბირიუზა" თავის ბაღით და ფართო ეზოებით, მოსალაპარაკებლად შეგიძლიანთ მიმართოთ: ოლგის ქუჩა, სახლი № 6, გაბაშვილისა. (3—262—3)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**გ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—329)

**ექიმი გ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—171)

**ექიმი შ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—81)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან, ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.
**ბოგოსლვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.
**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
**კალამქაროვი**—ებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.
**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.
**ლიმონი**—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—11½ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—40)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი** იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმლების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—29

**ბებია ქალი სოფიო ილიას ასული გელხორდტ-ლოკიში** რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლიკლინიკუმში დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი ვანქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—12)

**ექიმი ბავ. ი. გოკიელოვი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჰლექიანებისა, ელექტროთერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (75—კვ.—58)

**ექიმი ბავშვებისა ქუთაისში ბადრიძე** 1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—6

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—422)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ა. ა. ბუტულოვისა** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—31

**ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ახალი დასურათებული საყმაწვილო წიგნი**

## „ცხოველების — გამჭრიახობა"

შედგენილი ან. წერეთელის მიერ.
ფ ა ს ი 25 კ.

და მარკ ტვენის თხზულება მრავალი — სურათით —

## „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი"

ფ ა ს ი 60 კ.

იყიდება „ჯეჯილი"-ს რედაქციაში და წიგნის მაღაზიებში.

ვინც ათზე მეტს იყიდის, დაეკლება 20%. (6—3)

## ჟურნალი „მოგზაური"

სამი წლისა, ივ. როსტომაშვილის გამოცემა, იყიდება ერთ მანეთად.

ამ სამი წლის ნომრებში დასტამბულია სურათები კირიონ ეპისკოპოსის, ლეონიდის, ტფილისის გეგმა, დახატული 1700 წ., მეორე გეგმა ვახუშტისა, დახატული 1735 წ., მრავალი სურათი საქართველოს ძველის ნაშთებისა: სიონის, ცხეთის ტაძრის, კუმურდოსი და სხვა. აქვე მოთავსებულია დ. ნახუცრიშვილის დრამა „იანიჩარი" და სხვა ძველი სურათებიც.

ადრესი: „დროების" რედაქცია. (3—3)


# დღიური

**ქართული ენა და ქართველი საზოგადოება.**

უცხოელმა კუსტინოვიჩმა ძაღლის ენა უწოდა ქართულ ენას? იგი გასაკიცხი არ არის ამისათვის. მე მომწონს კუსტინოვიჩი. მან პირდაპირად, მოურიდებლად, ნათლად გამოსთქვა, რაც ეზიზღება. კუსტინოვიჩმა საყვედური მიიღო. ეს საყვედური ფარისევლურია. არა, იგი მადლობის ღირსია. კაცი გულახდილი, პატიოსანი უნდა იყოს, რომ მთელს ერს წარბ-შეუხრელად ძაღლები დაუძახა, დაუძახა იმიტომ, რომ ესეთია მისი ღრმა რწმენა!

რაღა არის ჩვენი რწმენა?

უსაზღვრო იყო ჩვენდამი სიძულვილი ვოსტორგოვისა. ფეხით სთელავდა ჩვენს ეროვნებას; პირში გვეუბნებოდა, რომ ფლიდები ვართ, ლაჩრები, უსინდისოები, გაიძვერები, მონები რომლებიც ფეხს ულოკავთ ბატონს მოწყალებისათვის, გამცემელთ, რომელნიც შვილსაც არ დავინდობთ, მატყუარები, რომელთაც შევთხზეთ ზღაპარი, ვითომც მშვენიერი საქართველო ღვთის-მშობლის წილ-ხდომილი ყოფილიყოს. გარყვნილს ვერაგულს ივერიას ვით არგუნებდა ღმერთი თავის დედასაო,—ამბობდა ვოსტორგოვი ჩვენის სისხლით გაუმაძღარი იმიტომ, რომ ადამიანებად არა გვთვლიდა!

მაგრამ ვსთვლით ჩვენ ჩვენს თავს ადამიანებად?

ერთი უფროსი, ზედამხედველი, ჩვენი გონებისა აღშფოთებით იხსენიებს ხოლმე ქართველის სახელს: ეს რა ერია! რასა ჰგავს, რას ჰპოვდავს, რას ეტრფის! გადაგვარებული დაცემული ტყუილად არსებობს, უსარგებლოდ აცდენს დედა-მიწას. წავიდეს, გაჰქრეს; რაც ადრე მოკვდება, მით უკეთესი, მით უფრო მადლიერნი იქნებიან მისი მეზობლები. ერი უტვინო, ერი რეგვენი, ერი უაზრო, ასე გვიხსენიებს ეს ბატონი და თუ სამე დაგვინახა, ვერ მოითმენს, თუ პირი არ მიიბრუნა და განზე არ გააფურთხა. იმიტომ, რომ უღირსნი ვართ მისთვის!

მაგრამ ღირსნი ვართ ჩვენთვის?

მოსაწონია, როცა ადამიანს სძულხარ, და გულ-ახდილად გიცხადებს ამ სიძულვილს. მაგრამ მოსაწონია, როცა ვამბობთ—ენა და ეროვნება ერთია, გვიყვარს დედა-ენაო და ამავე დროს მთელი ჩვენი ცხოვრება უარყოფაა ქართული ენისა და თუ ზარმაცობით, თუ შიშით, თუ ცრუ მსოფლიობით სამარეს ვუთხრით სამშობლო ენას? მოსაწონია, როცა ვტრაბახობთ ქართველობით, ვითომდა აღვშფოთდებით, თუ ვინმემ ავად ახსენა ჩვენი ეროვნება და ჩვენის საკუთარს მოქმედებით კი ყოველ დღე ვგმობთ ჩვენს ერს? მოსაწონია, როცა ხმა-მაღლა ვყვირით, რომ დიდად ვაფასებთ ჩვენს პიროვნებას, მაგრამ საქმეზე რომ მიდგება, არ არის შეურაცხყოფა, რომ არ ავიტანოთ, არ არის დამცირება, რომ არ შევურიგდეთ, არ არის ზიზღი, რომ არ მივიღოთ?

ქართული ენა დევნილია სხვებისაგან,—ეს სალაპარაკო არაა. ყოველი დაწესებულება ისეა მოწყობილი, რომ ქართველს ქართული ენა გადაავიწყოს, ქართულს სავარჯიშო ასპარეზი შეუზღუდოს, მოუსპოს. საითაც კი მიიხედავს ქართველი, ყველგან სასტიკს გაფრთხილებას წაიკითხავს: აქ აკრძალულია ქართული ლაპარაკი, ქართული ფიქრი, ქართული გრძნობა! და ჩვენ ამას არა თუ ვებრძვით, შევურიგდით; შევურიგდით და შევითვისეთ; შევითვისეთ და ყოველს ღონეს ვხმარობთ, რომ აკრძალვა იგი ბატონისა არავინ დავარღვიოთ! აღარ გვინდა ქართული ჩვენ თვითონ: რუსულად ვბაასობთ ოჯახსა და საზოგადოებაში. რუსულად ვლაპარაკობთ შინაურთან და გარეშესთან; რუსულად ვმსჯელობთ, ვსწერთ, ვკითხულობთ ლექციებს, ვქადაგობთ, ვლოცულობთ და აღსარებას ვამბობთ საკუთარი თავის წინაშე!

„ჩვენს შვილებს ქართულს ნუ ასწავლითო, თხოულობენ ქართველი მამები, რუსულად უმღერს ნანას დედა შვილს; რუსულად ეალერსება საყვარელი საყვარელს; რუსულად სწერს წერილს მეგობარი, მეგობარს, რუსულად ასწავლის ქართველი არტისტი თავის ამხანაგებს; რუსულად კამათობენ ქართველი მოღვაწენი, რუსულის მწერლობის განვითარებით ლამობენ ქართული კულტურის გაძლიერებას ქართველი მწერლები!

განა ეს სიყვარულია ქართული ენისა? და განა კუსტინოვიჩმა შეურაცხყოფა მოგვაყენა ჩვენ? რამ აგვაშფოთა. ხელი შეახეს ჩვენთვის ძვირფასს რასმე? ვინ მისცა უფლება ჩვენი ნაცარქექია ინტელიგენტს გამოესარჩლოს იმ ენას, რომელიც სრულებით უკუუგდია, რომელსაც არა სწავლობს, რომელზედაც არ ლაპარაკობს, რომელსაც არ იცავს თავის სახლში, თავის საზოგადოებაში?

კეთილშობილია და პატივსაცემი თანამდებობა სახალხო მასწავლებლისა. იგი ხალხის შვილია, ხალხის აღმზრდელი; ყველაზე უფრო ახლო სდგას ხალხთან და უნდა გვეფიქრნა, რომ ყველაზე მეტად დაიცავდა ხალხის ენას—მის უძვირფასეს განძს. მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირად ვკითხულობთ გაზეთებში, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენებურ სოფლის მასწავლებლებისა დაემორჩილა საერთო სენს და აბუჩად აიგდო ქართული ენა. მათში გაბატონდა რუსული ენა. ერთმანეთსა და მოწაფეებს ქართულად არ ესაუბრებიან. ქართულს ძლიერ სუსტად ასწავლიან ბავშვებს, მათი უმთავრესი ყურადღება რუსულზეა მოქცეული, რადგან რევიზორები ქართულს არ ეკითხებიან მოწაფეებს და კიდეც რომ შენიშნონ ამ საგანში სისუსტე, საყვედურს არ ეტყვიან მასწავლებელს, პირიქით, შეიძლება კიდეც მოიწონონ და დააწინაურონ ერთგულობისა და მუყაითობისათვის. ქართული ენა და ქართული კულტურა წაიშალა სოფლის მასწავლებლისთვის, ეს აღარაა მისთვის საინტერესო, ამისგან აღარ მოელის წარმატებას, მასწავლებელი გახდა ჭეშმარიტი ბიუროკრატი მოხელე, რომელიც ბატონის სიამოვნებას ჰფიქრობს მხოლოდ. გვატყობინებენ, რომ სოფლის მასწავლებლებმა გადააჭარბეს სავალდებულო პროგრამას, წაართვეს გაკვეთილები ქართულს და მიუჩუქლეს რუსულს, რომელსაც ბევრგან პირველი დღიდანვე ასწავლიანო...

ასეთია ბედი ქართული ენისა ჩვენს საზოგადოებაში. ყოველთვის და ყველგან დევნილია, იგი მეტი ბარგია, ხელის შემშლელი, შემზღუდველი!

ასეთია ბედი ქართული ენისა ჩვენისავე წყალობით და კიდევ ვბედავთ, გამოვესარჩლოთ მას, როცა სხვები შეაგინებენ! ვანა არ გვეტყვის ენა მეტყველი: თქვენ უფრო საზიზღარნი ხართ ჩემთვის, ვიდრე კუსტინოვიჩი! დედას მეძახით და გამცემლები კი ხართ ჩემი! ვითომ დასტირით ჩემს განსაცდელს და უარესს კი მომზადებთ! არა, მოღალატე შვილები უფრო საშინელი არიან, ვიდრე პირდაპირი მტრები!..

მაგრამ გადარჯულებულებს გვესმის-კი დედის რისხვა?!. **სიტყვა.**


◀ **ქართული თეატრი** ▶

**შაბათს, 1 მაისს,**

**მამადავითის ქალთა სკოლის სასარგებლოდ**

სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

**ფრანგულ ენაზე**

## „შეყვარებული"

(AMOUREUSE).

კომ. 3 მოქ. პორტო-რიშისა.

მონაწილეობას იღებენ: კნ. ელ. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, ქალ. ვ. ლაშვაშიძისა, კნ ან. თუმანიშვილისა, M-e სენტ-მარი, M-ee კარრეტ, ბ-ნნი დე-მორკუე, ბიაერ და სხვანი.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ბ. გოსსი.**

გამგე **კნ. ელ. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა.** (2—1)


# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ ბოლო დროს ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ ძალიან მოუხშირა წერილების წერა გ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ. ამ ჟამად „ზაკავ."-ში იბეჭდება უშველე-

ბელი ფელეტონები ბ-ნ ნ. ნიკოლაძისა. არც საკვირველია: როგორც ვიცით, ამ ჟამად ქუთაისში შავი ქვის მრეწველთა კრებაა და ამაზე უკეთეს დროს გ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ მისი მოწინააღმდეგე ვერ გამონახავდა.

ორიოდე დღის წინად იმავე „ზაკ.“-ში ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ მოათავსა წერილი, სადაც ამტკიცებდა, რომ ზდანოვიჩმა ბ-ნი ს. ქვარიანი მოისყიდა „შავი ქვის“ საზოგადოებაში მდივნად მოწვევითაო. ალბად ბ-ნ ს. ქვარიანს რომ არა სწყენოდა, ბ-ნი ნიკოლაძე იქვე უმატებდა, თუმცა ზდანოვიჩმა მოისყიდა, მაგრამ ქვარიანი არ მოესყიდვინა და მალე მიანება თავი „შავქვასაო“.

გუშინდელ „ზაკ.“-ში ამის საპასუხოდ დაბეჭდილია წერილი გ. ზდანოვიჩისა. იგი, სხვათა შორის, სწერს:

ჩემ თავს ნებას მივცემ ვთქვა, რომ ბ-ნ ქვარიანს არ შეეძლო თავისი თავი ჩემთვის მოეყიდნა, იმ უბრალო მიზეზით, რომ მე, ს. ქვარიანის მოსყიდვაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო, აზრად არ მომსვლია, არც საჭიროება მოითხოვდა და არც შემეძლო მომესყიდნა ბ-ნი ქვარიანი. მდივნის ადგილი ზემოხსენებულ კომისიაში ბ-ნ ქვარიანს მე კი არ მივეცი, არამედ შავი ქვის მრეწველთა იმ თათბირმა, რომელიც შეიკრიბა პატივცემულ დ. ბაქრაძის ბინაზე და რომელმაც აირჩია როგორც კომისიის წევრნი, ისე მისი მდივანი (ს. ქვარიანი) და თავჯდომარე (მე)

ბ-ნი ნიკოლაძე სწერდა, რომ ამ საქმის შესახებ დიდ ძალი საბუთი მაქვსო. ზდანოვიჩი იწვევს ეხლა ნიკოლაძეს, თუ-კი მართლა აქვს რაიმე მასალა და უბრალო ჭორი არ არის მისი ნათქვამი, გამოაქვეყნოს ყველაფერი, რომ აშკარად გამოირკვეს, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი. დასასრულ, ზდანოვიჩი სწერს:

თუ მართლა მე მომისყიდნია მწერალი, დეე, გამკიცხოს პრესსამ, საზოგადოებამ, გამკიცხონ პატიოსანმა კაცებმა, რომელნიც თვალყურს ადევნებენ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მაგრამ თუ, პირიქით, გამოირკვა, რომ მთელი ეს „მოსყიდვა მწერლისა“ მხოლოდ ზღაპარია, გამოგონილი ბ-ნ ნიკოლაძის მიერ ან ჭორი, მის მიერ ქუჩაში ყურ-მოკრული, მაშინ ვიკითხავ —რა სახელი ეწოდოს ასეთ საქციელს?

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აპრილი.

## ინგლისის მეფის გარდაცვალება

**პარიზი.** მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მეფე ედუარდის დაკრძალვას დაესწრებიან გარეშე საქმეთა მინისტრი პიშონი, გენერალი დალსტეინი, ადმირალი მარკი, ფალიერის წარმომადგენელი და სხვა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, სტოლიპინმა ინგლისის პრეიმერ-მინისტრ ასკვიტისაგან მიიღო დეპეშა. ასკვიტი მადლობას უძღვნის თანაგრძნობისა და მწუხარების გამოთქმისათვის.

ინგლისის ელჩმა ნიკოლსონმა წერილი გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს და მადლობა გადაუხადა სათათბიროს მწუხარების გამოთქმისათვის. ამას გარდა, ნიკოლსონმა გუჩკოვს აუწყა, რომ სათათბიროს სამგლოვიარო წერილის შინაარსი მეფე გეორგ მეხუთეს ვაუწყეო.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ხომიაკოვმა ლორდ ნოლლისისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: დედოფალი ალექსანდრა გთხოვთ გადასცეთ თქვენ ამხანაგებს, რომლებმაც სამგლოვიარო დეპეშა გამოგზავნეს, მათი უდიდებულესობის მადლობა. მათი უდიდებულესობა დიდად აფასებს თქვენს და თქვენი ამხანაგების თანაგრძნობასო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატის სხდომა გაიხსნა პრეზიდენტის პატტაის სიტყვით. მან განაცხადა, რომ ავსტრიის ერები ინაწილებენ მეფე ფრანც-იოსების მწუხარებას მეფე ედუარდის გარდაცვალების გამოო. პრეზიდენტის სიტყვის დროს დეპუტატები ფეხზე იდგნენ. პატტაის დაევალა თანაგრძნობა გამოუცხადოს ინგლისის დეპუტატთა პალატას.

## კრიტის საქმე

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს კანეიდან ატყობინებენ: 26 აპრილს ეროვნული კრება მეფის სახელით გახსნა დროებით მთავრობის პრეზიდენტმა. მეფის სახელის ხსენებაზედ ქრისტიანმა დეპუტატმა და ხალხმა მანიფესტაცია მოახდინე და იყვირეს, გაუმარჯოს საბერძნეთის და კრიტეს შეერთებასო. ეროვნულ კრების მაჰმადიანმა წევრებმა წერილობითი პროტესტი განაცხადეს. პრეზიდენტმა წინადადება მისცა კრებას, საბერძნეთის მეფეს ერთგულებაზე ფიცი დასდეთ და ამით განამტკიცეთ კრიტეს ინკორპორაციის გადაწყვეტილებას. დეპუტატებმა დიდის ამბით მიიღეს ფიცი.

**სტამბოლი.** ოსმალეთის მთავრობამ კრიტეს მფარველ სახელმწიფოებს ოფიციალური ქაღალდი გაუგზავნა და პროტესტი განაცხადა, კრიტელებმა საბერძნეთის მეფის ერთგულებაზე ფიცი რად მიიღესო.

## აჯანყება ალბანეთში

**სალონიკი.** უსკიუბში გაიგზავნა სალონიკის მსროლელთა ერთი ბატალიონი. ზემო მორავში, სოფელ კარბალიკისის ახლო, ჯარს და ალბანელებს შეტაკება მოუვიდათ. როგორც სჩანს, მოლაპარაკების შედეგი არ იქნება, რადგან ეზერელი და პუდაკოვო ისევ ალბანელების ხელშია. ხმა დადის დრენიცის ალბანელებმა უარი უთხრეს ბოლეტანცის ვერ გამოგყვებით მიტროვიცაზე თავდასასხმელადო. ბოლეტანაცი ამ ჟამად ჩერნოლევის გასავალთან არის. მან რუსეთის და ავსტრიის კონსულებს დამამშვიდებელი წერილები გაუგზავნა. დიაკოვო ალბანელების ხელშია. ამბობენ, რომ სამსახურიდან გადის მესამე კორპუსის უფროსი ხადი-ფაშაო. მის მოადგილედ ასახელებენ მარშალ იბრაგიმ-ფაშას. სამხედრო მინისტრი ამ ჟამად ათვალიერებს ალბანიაში მომქმედ ჯარს და იკვლევს საქმეს. შესაძლებელია, რომ, როდესაც სამხედრო მინისტრი საქმეს გაეცნობა, შევკეთ ტურგუტ-ფაშა გადააყენონ. ხმა დადის უსკიუბში მდგომი ბატალიონები აღელდნენ, მთავრობამ ზომები მიიღო, რომ მათ იარაღი ჩამოართვასო. კუმანოვიდან პრეშოვისაკენ წავიდა 2,000 ალბანელი. ამათი განზრახვაა მიეშველნენ პრეშოვის ახლო მდგომ ალბანელებს.

**ვენა.** „ნეიე-ფრეიე-პრესსეში“ დაბეჭდილია ხილმი-ფაშას აზრი ალბანეთის აჯანყებაზედ. ხილმი-ფაშა ოპტიმისტურად უყურებს ალბანელების აჯანყებას. მისი სიტყვით, აჯანყებაში მონაწილეობას იღებს რამდენიმე თემი, სულ 30—40,000 კაცი, უმთავრესად სილანის, დრენიცის და ლაბის ოლქებში მცხოვრები თემები.

**სტამბოლი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ ბუდაკოვის ახლო ჯარმა ალბანელები დაამარცხაო.

## ფინლიანდია

**ჰელსინგფორსი.** 28 აპრილისთვის გადაიდო სეიმის პასუხის განხილვა საერთო საიმპერიო კანონმდებლობის კანონპროექტზედ. ამის მიზეზი ის არის, რომ კომისიამ ვერ მოასწრო სარედაქციო მუშაობის დამთავრება.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ პირველ კრებაზედვე დაამთავრა საზოგადო კამათი და გადასწყვიტა მუხლ-მუხლად განიხილოს საერთო კანონმდებლობის შესახებ კანონ-პროექტი.

**ბერლინი.** რეიხსტაგის დეპუტატებს განზრახვა აქვთ სახელმწიფო სათათბიროს პეტიცია გაუგზავნონ. პეტიციაში დეპუტატები შეეხებიან ფინლიანდიის კონსტიტუციას. პეტიცია ემყარება მეცნიერ-იურისტების აზრს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ როგორც რუსეთს არ შეუძლიან ფინლიანდიის რეიმს და ფინლიანდიის მართველობას ჩამოართვას დიდი ხნის მინიჭებული უფლებები, ისე არა აქვს უფლება შეზღუდოს ეს უფლებები არა პირდაპირი გზით და დაიტოვოს უფლება განსაზღვროს ფინლიანდიის კონსტიტუციის უფლებებიო. მიუხედავად ამისა, პეტიცია მაინც აღიარებს, რომ ეს საკითხი რუსეთის შინაური საქმეაო. დეპუტატები გადაჭრით აცხადებენ, რომ ჩვენ სრულებითაც არა გვსურს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა, ჩვენ გულრწფელად დარწმუნებულნი ვართო, სწერენ დეპუტატები, რომ პეტიციის გაგზავნა ხელს შეუწყობს გერმანიის და რუსეთის ხალხის წარმომადგენლების დაახლოვებასო. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სახელმწიფო სათათბირო დაიცავს ფინლიანდიის თავისუფლებას და უფლებებს. ამისთანავე პეტიციებს სახელმწიფო სათათბიროს გამოუგზავნიან ლონდონიდან, ბრიუსელიდან და ამსტერდამიდან.

## არჩევნები ესპანიაში

**მადრიდი.** მთავრობის ცნობით აირჩიეს: 230 ლიბერალს, 104 კონსერვატორს, 45 რესპუბლიკანელს, ერთ სოციალისტს, დანარჩენები იქნებიან: კათოლიკები, კარლისტები, რეგიონალისტები და ინტეგრისტები.

## ტარნოვსკაიას საქმე.

**ვენეცია.** სასამართლოს დილის და სალამოს სხდომებზე ნაფიცმა ვექილმა მუზატიმ წარმოსთქვა გრძელი სიტყვა და ამტკიცებდა, რომ ტარნოვსკაიას მოსამსახურე პერიე უდანაშაულოაო.

## ჰაერში ფრენა

**ვილნო.** ჰაერში მფრენავთა ჯგუფის პირველმა საზოგადო კრებამ აირჩია კომიტეტის 12 წევრი. ჯგუფის ერთი დამაარსებელთაგანი პეტერბურგში წავიდა. იგი მოელაპარაკება პეტერბურგში ჩამოსულ ავიატორებს, რომ მონაწილეობა მიიღონ ჰაეროპლანების გაჯიბრებაში, რომელიც მალე ვილნოში გაიმართება.

**პეტერბურგი.** ჰაეროპლანების გაჯიბრების მეორე დღე. პირველად სიჩქარის პრიზის მისაღებად ფარმანის ჰაეროპლანით გაფრინდა ხრისტიანსკი, რომელმაც 5 წუთსა და 10 წამში სამჯერ შემოუარა აეროდრომს. ხანგრძლივ ფრენის პრიზს მისაღებად გაფრინდა პოპოვი, მას მიჰყვა ხრისტიანსი, პოპოვი ხუთას მეტრის სიმაღლეზე ავიდა და იფრინა ერთი საათი, 11 წუთი და 41 წამი. პოპოვი რამდენჯერმე გასცილდა აეროდრომს და ქალაქისა და ზღვისაკენ გაფრინდა. პოპოვის ჰაეროპლანს ქალაქის შუაგულ ალაგიდან ხედავდნენ. მშვენიერი სანახავი იყო პოპოვის და ხრისტიანსის ერთად ფრენა. ხან ერთი იყო წინ, ხან მეორე, სცდილობდნენ ერთი-ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ. მაგრამ პოპოვი ხრისტიანზე 300 მეტრით მაღლა იყო. ხრისტიანსი ჩამოეშვა 24 წუთის შემდეგ. ბლერიოს მონოპლანით გაფრინდა მორანი, ავიდა 150 მეტრის სიმაღლეზე და 12 წუთის და 30 წამის შემდეგ მიწაზე დაეშვა. პოპოვის ჰაეროპლანი მიწაზე ჩამოშვების დროს ცოტად დაზიანდა. ხალხი აღტაცებით და ტაშით შეხვდა პოპოვს. ხრისტიანსი შეეცადა ფრენის მგზავრი წაეყვანა თან, მაგრამ მხოლოდ ორი წუთით შესძლო ფრენა. ხრისტიანსთან ერთად გაფრინდა ახალგაზრდა ქალი.

გაჯიბრების მესამე დღე. გაფრინდნენ მორანი და ხრისტიანსი. პირველი ბლერიოს და მეორე ფორმანის ჰაეროპლანით. ხანგრძლივი ფრენის პრიზის მისაღებად ხრისტიანსმა იფრინა 53 წუთით, მორანმა 33 წუთი. ორთავეს დღის პრიზი მიიღო ხრისტიანსმა, რომელმაც ერთი საათი და 28 წუთი იფრინა. შელამებისას ხრისტიანსი ხელმეორედ გაფრინდა ახალგაზრდა ქალთან ერთად და იფრინა 4 წუთი და 30 წამი.

**იოგანისტალი.** დაიწყო ჰაეროპლანების საერთაშორისო გაჯიბრება.

## ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** მეჯლისი შეუდგა შინაურ სესხის ფურცლების მზადებას. განზრახული აქვთ სესხის გამგედ მოიწვიონ შაჰის ბანკის დირექტორად ნამყოფი რიბანო.

**ურმია.** ერთი ღამის განმავლობაში ქურთებმა სამი ადგილიდან განდევნეს და იარაღი აჰყარეს სპარსეთის სალდათებს, რომლებიც სოფლებს იცავდნენ.

**ურმია.** ადგილობრივმა მემამულეებმა ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორს, მუკბირუს-სალტანეს კოლექტიური პროტესტი გაუგზავნეს ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც უკანონოდ დაეპატრონა სპარსეთის მოსაზღვრე ოლქებს.

## საზღვარ-გარედ.

**ბერლინი.** $7\frac{1}{2}$ საათზედ ფრიდრიხ-შტრასსეს სადგურზედ კელნის საჩქარო მატარებელი დაეჯახა პოზნანის სამგზავრო მატარებელს. დაიმტვრა საჩქარო მატარებლის საფოსტო ვაგონი. დაშავდა ფოსტის ორი მოხელე. მგზავრები გადარჩნენ.

**ლონდონი.** მეფე გეორგმა მიიღო პრემიერ მინისტრი ასკვიტი და სალამოთი თავმჯდომარეობდა სთაიდუმლო საბჭოში. მინისტრებმა მეფეს ფორმალურად გადასცეს თავიანთ პორტფელები. მეფემ დაუყონებლივ უკან დაუბრუნა პორტფელები. შემდეგ მინისტრთა საბჭომ ასკვიტის თავმჯდომარეობით ითათბირა ედუარდის გარდაცვალებით გამოწვეულ მდგომარეობაზედ. მინისტრთა საბჭომ აგრეთვე განიხილა საკითხი, რომ დანიშნოს განსაკუთრებული კომისია, რომელიც იქონიებს მსჯელობას მეფის ჯამაგირზე.

დღეს, აქ გამოუშვეს იაპონიის 4 პროცენტიანი სესხი, სულ 110 მილიონ მანეთისა.

**ათინა.** მეფის ბრძანებით ითხოვეს 70 აფიცერს. მათ პენსია მიეცემათ. დათხოვნილმა აფიცერებმა პროტესტი განაცხადეს.

**ბერლინი.** რეიხსტაგის სხდომები 26 ოქტომბრამდის შესწყდა.

**ჯაროუ.** წყალში ჩაუშვეს „დრედნოუტის“ ტიპის გემი „გერკულეს“. ამ ჟამად ინგლისს სულ 10 ასეთი გემი აქვს.

## რ უ ს ე თ ი

**ეკატერინბურგი.** ბლაგოდატის მაღაროებში აფეთქდა დინამიტის პატრონა. მოკვდა ორი მუშა.

**პეტერბურგი.** დაინიშნა რუსეთ-ჩინეთის კომისია. ეს კომისია განიხილავს რუსეთ-ჩინეთის საზღვრებს მდინარე არგუნზედ და მუშაობას დაიწყებს მაისში.

**კიევი.** ლიპკანის და ლარგას სადგურებს შორის უცნობები შეეცადნენ საფოსტო მატარებლების ლიანდაგიდან გადაგდებას, დაიმტვრა ორთქლმავლები, მგზავრები გადარჩნენ.

დაიხურა კოოპერატიულ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება. კრებამ დაადგინა ორი წარმომადგენელი გაგზავნოს ჰამბურგის საერთაშორისო კოოპერატიულ კრებაზე.

**სიმფეროპოლი.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია ევპატორიის სოციალისტ-რევოლიუციონერების ორგანიზაციის წევრების საქმე. სამართალში მიცემული იყო სულ ოთხი კაცი. სასამართლომ გადაუწყვიტა ფოსტის მოხელეს, მიხოვს კატორღა, კოვალენკოს—გადასახლება. გაამართლა ორი მუშა.

**პეტერბურგი.** გუშინ [illegible] ოლქის გუბერნატორი ვოლსკი.

**ეკატერინბურგი.** ოლქის სასამართლო შეუდგა სოფელ ლენევსკის გლეხების საქმის გარჩევას. ბრალდებათ მთავრობის წინააღმდეგობა და 1905—7 წელს ალაპაევის ქარხნის აკლება. პირველ წელიწადს გლეხებმა გაჰკაფეს ალაპაევის ქარხნის ტყეები, შემდეგ დასწვეს ქარხნის მიერ დამზადებული ხე-ტყე და და ნება არ მისცეს ქარხნის ადმინისტრაციას ხე-ტყე გაეტანა. არეულობაში მონაწილეობა მიიღო 300 კაცმა, რომელთაც მეთაურობდა მასწავლებელი ვედუნოვი და გლეხი მალიგინი.

**სევასტოპოლი.** გიმნაზიაში სწავლის დროს, მოწაფემ რევოლვერი ესროლა გერმანულ ენის მასწავლებელს, მაგრამ უშედეგოდ.

**ომსკი.** სენატის რევიზიამ მთელი აღდგომის უქმეები იმუშავა და გუშინ გაჩხრიკა ომსკის და სხვა ქალაქების საინდენდანტოები. გაჩხრეკაში მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო და სამხედრო უწყების მოხელენი. ომსკში ჩხრეკა დაიწყო დილის ხუთ საათზე და გაათავეს 10 საათზე.

**სტავროპოლი.** სუხოდოლსკის თეატრმა, თეატრის დაწვის გამო, 50,000 მანეთი იზარალა. ადმინისტრატორი სოკოლი თეატრში მყოფ ხალხის გადარჩენის დროს, ძლიერ დაშავდა.

**ლიბავა.** დიდი ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი იყო. გაფუჭდა ტელეფონის ბოძები. მეხი დაეცა 6 კაცს.

## ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** 21—22 აპრილს ბახმუტის მაზრაში ხოლერით ავად გახდა 13, გარდაიცვალა 3 კაცი.

## ქუთაისის აპ-კარგი

ამ ჟამად ქუთაისის მაზრის ადმინისტრაციასა და ამავე მაზრის სო-

---

# გიორგი სააკაძის სურათზე

ცალკე შენა ხარ და შენს პირდაპირ
მეორე სახე მე მეხატება
შენის ქვეყნისა—საქართველოსი...
რამდენი ფიქრი მწვავს,—მებადება:
თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ,
კარგი შვილები რად გვებადება?
შვილის სიკეთე მშობელს შეჰშურდეს,
ნამდვილს მშობელსა ეს ეკადრება!?
ცრემლები მარჩობს, ველარას ვამბობ;
კარგის დაღუპვა რად გვენატრება
ჩვენის შვილისა, ჩვენივე ძმისა?!
ველარას ვიტყვი, ვთრთი, მეხათრება,
ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ,
არ გეკადრება, არ გეკადრება.

ვაჟა-ფშაველა.

# ამაღ აღსდგა!

(დასასრული)

ამხანაგმა კითხვა დაიწყო. ჩვენ ახლა სწორედ იმ სცენას ვკითხულობდით, სადაც აწერილია „ნაჩალნიკის“ მიერ მოძღვარ ონოფრეს დაკითხვა მაყვალას მოკვლის შესაებ და გელას ვერაგობა. მე ვუყურებდი მსმენელთ და ვატყობდი, რომ ეს სცენა მეტად აღელვებდა ყველას, მაგრამ თვალი რომ ქაჩალას მოვკარი, ველარ მოვაშორე. ამ კაცს რაღაცა ემართებოდა. მძიმედ ქშინავდა, გაწითლებულ კისერზე ძარღვები რუმბივით დასდგომოდა, თვალებს აბრიალებდა, შუბლი შეეჭმუხნა, წარბები, როგორღაც წინ წამოშვეროდა და ნესტოები უფეთქავდა. გვერდით მდგომს ამხანაგს მხარზე დაჰბჯენოდა და ისე აწვებოდა, რომ წელში მოეკაკვა. „თუ იცი რამე, სთქვი, შვილო!—კითხულობდა ამხანაგი მოძღვრის სიტყვებს:—სთქვი, რამეთუ ზეციერს მამას არა დაემალება რა“...

მსმენელნი უცბად როგორღაც შეიძრნენ, ქაჩალას გვერდით მდგომი ამხანაგები აქეთ-იქით გადიქცნენ და ქაჩალამ უცბად გადმოალაჯა წინ მჯდომ ამხანაგებს. ეხლა-კი იგი სწორედ საშინელი სანახავი იყო. თვალებიდან ცეცხლებსა ჰყრიდა, ძლივს და ქშინავდა, ტუჩებზე დორბლები გამოსჩენოდა, სახე გაპარხლებული თითქოს უეცრად დასიებოდა. „შენ მოჰკალ მაყვალაი, შენ მეტი ვერვინ მოჰკლავდა“... მოისმა ამხანაგის კითხვა...

— ჰაი მაგისი...—უცბად შეჰღრიალა ქაჩალამ და საზარლადაც შეაკურთხა...

კითხვა უცბად შესწყდა.

— კაცო, ქაშალა, რა იყო?—მიუახლოვდა და ჰკითხა ერთმა ღათარმა.

ქაჩალა ცოტადი შეინძრა, პირზე ხელი მოისვა, ეტყობოდა გონზე მოვიდა, თითქოს შერცხვა, და ღიმილის მაგივრად სახე როგორღაც უცნაურად დაებრანჯა. ხმა ამოუღებლად იქვე ჩაჯდა...

ამხანაგმა განაგრძო კითხვა. ქაჩალა თანდათან უფრო და უფრო თავს დაბლა ღუნავდა, და მარტო მაშინ, როდესაც მოისმა მოძღვრის სიტყვები: „მეუფეო, შეუნდევ, რამეთუ არა იციან, რასა იქმოდენ“, ქაჩალამ ასწია თავი და დააცქერდა მკითხველს. ეხლა სახე სრულებით გაჰფითრებოდა, თვალები სადღაც ღრმად წასვლოდა, რაღაცა გაშტერება ემჩნეოდა. „...აღსრულდეს ნება უფლისა... მის განზრახვას წინ ვინ წაუდგება?—კითხულობდა ამხანაგი მოძღვარს სიტყვებს, და ამ დროს მოისმა უფროს ზედამხედველის ხმა:

— გაათავეთ სეირნობა!

დავიშალენით, შეგვრეკეს ჩვენ ჩვენ ოთახებში. შევედი ჩემ კამერაში. ჩაიკეტა კარი. აღდგომის ღამე იწყებოდა. ვინ იცის იქ გარედ ყველა ემზადებოდა, ირთვებოდა, ამკობდა სააღდგომო მაგიდას, ქრისტეს აღდგომას მოელოდა. უხაროდა, ჩვენ? ბევრ ხანს დავდიოდი ჩაკეტილ ოთახში, ხან დავჯდებოდი, ხან წამოვწვებოდი. ძილი არ მომდიოდა. წიგნს მივ-ტანე ხელი, არც კითხვა მეხერხებოდა, ვეცადე წერა, თავში ორი ერთი ერთზე გადაბმული აზრი არ მოიპოვებოდა. თვალიდან არა მშორდებოდა ქაჩალას სახე. რას ფიქრობდა ეხლა ის? ვინ იცის, აგონდებოდა მთელი თავისი ცხოვრება...

კარგა ხანმა გაიარა, მეც როგორღაც მოვსუსტდი, მოვეში. გავიხადე, ლოგინში ჩავწექი. ის იყო ჩამთვლიმა, როდესაც ახლო ეკლესიაში პირველმა ზარმა დაჰკრა. ქრისტე აღსდგა, მაგრამ ვისთვის? ჩამეძინა.

მეორე დღეს გვიან გამომეღვიძა. ძლივს მოვასწარ პირის დაბანა და ჩაის დალევა, რომ გამოგვიძახეს დილის სეირნობაზე. გამოვედი ეზოში. ქალაქიდან მრავალ ზარის რეკა ისმოდა. აგერ წვრილ და პატარა ზარუნებს წკარა-წკური დააწყებინეს თითქოს ჩქარობდნენ და ერთი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო დაასწრებს და დაიძახებს: „ქრისტე აღსდგა, გიხაროდეთო“. მაგრამ უცბად დაჰკრა თავის მძიმე და ბოხი ხმით დიდმა ზარმა და დაჰფარა პატარა ჟღარუნების ხმა. თითქოს არ ეპაშნიკებაო დინჯ მოხუცს ეს უადგილო ბავშვური მხიარულება, თითქოს იგრძნო მან, რომ არ ეთანხმებოდა ეს მხიარულება იმ სევდას და გოდებას, რომელიც გარშემო ტრიალებდა. მაგრამ არა ცხრებოდნენ პატარა ჟღარუნები, თავისას არ იშლიდნენ და უფრო მაღალის ხმით, უფრო ჩქარა და უფრო სიხარულით თავისას გაიძახოდნენ: „ქრისტე აღსდგა, გიხაროდეთო!..“

ტუსაღები ერთი ერთმანეთს სალამს აძლევდნენ, ზოგან „ქრისტე აღსდგას“ ულოცავდნენ და ერთი ერთმანეთს ჰკოცნიდნენ. გამოსვლის უმალ წინ დამიხვდა ყორანა...

— ქრისტე აღსდგა, ამხანაგო!—მითხრა. მეც „ჭეშმარიტად“ ვუპასუხე. გადავკოცნეთ ერთმანეთი. ყორანამ ჩაიდო ჯიბეში ხელი, ამოიღო წითელი კვერცხი და მითავაზა. მეც ავიღე, მაგრამ შემრცხვა, ხელთ არა მქონდა რა, რომ მაგიერი გადამეხადა. შემატყო ყორანამ.

— ნუ სწუხდები, ძმაოჯან, შენ კარგად იყავი. შენ ერთი კაი საქმე, ამ აღდგომის გულისთვის უნდა გავიკეთო... უფლის მადლმა ძაან დაგვავალებ მთელ ჩვენ ტუსაღებს.

— დიდის სიამოვნებით, ყორანავ, თუ კი რამ შემიძლიან.

— შეგიძლიან, შეგიძლიან და კიდეც უნდა აგვისრულო.

— რაშია საქმე?

— ქაჩალას შენთან დიდი სათხოვარი აქვს, და უნდა უთუოდ მოუხერხო. აი დაუძახებ, და თვავათ გეტყვის. აღდგომის მადლმა უნდა აუსრულო,

ამ სიტყვებთან ერთად გაიქცა ქაჩალასთან, რაღაც წასჩურჩულა. ქაჩალა ჩემსკენ წამოვიდა, თავ ჩაღუნული მომიახლოვდა, თითქოს სცდილობდა ჩემთვის არ შემოეხედნა, თვალებს მარიდებდა.

*) იხ. „დროება“, N 82.

ფლის საზოგადოებათა შორის მოლაპარაკება გამართული. მაზრის ადმინისტრაცია ეუბნევა ხალხს—თქვენ სჩივით ყოველთვის, რომ სტრაჟნიკების შენახვა თქვენთვის მძიმე ტვირთია და რადგან უდარაჯოდ მშვიდობიანობის დაცვა შეუძლებელია, სხვა გზა ამოვარჩიოთ ამავე მიზნის მისაღწევად. თქვენ თავზე მიიღეთ იმდენი ხარჯი, რომ მაზრის სამართველო და სოფლის საზოგადოებათა კანცელარიები ტელეფონით შეუერთდნენ ერთმანეთს და მაშინ ის დარაჯები, რომელნიც ჩემ ხელი არიან, იკმარებენ მშვიდობიანობის დასაცველად და ავაზაკთა დევნისათვის და თქვენც განთავისუფლდებით იმ ხარჯისაგან, რომელსაც ითხოვს დარაჯების შენახვა.

ამ ჟამად მაზრაში იკრიბება სოფლის საზოგადოებათა ყრილობანი და როგორც გვესმის, ზოგიერთ სოფლის საზოგადოებას კიდევაც მიუღია მაზრის ადმინისტრაციის წინადადება.

ამ ნაირად შესაძლებელია მოკლე ხანში მთელი ქუთაისის მაზრა მოირწყოს ტელეფონებით, და ადმინისტრაციას ყოველს წუთში ეცოდინება, სად რა ხდება. გაგვიგონია, რომ დღეს დევნილ ფინლიანდიაში სოფლები შეერთებულია ტელეფონით, რომ ხალხს გაუადვილდეს ერთმანეთთან დამოკიდებულება ვაჭრულისა, მრეწველობის და სხვა მოსაზრებით. შესაძლებელია იგივე მოხდეს ჩვენს მაზრაშიაც, მაგრამ ძალა უნებურად იბადება საკითხი—განთავისუფლდება თუ არა ხალხი სტრაჟნიკების შესანახ ხარჯისაგან?

ტელეფონი, რასაკვირველია, გაუადვილებს მაზრის ადმინისტრაციას სოფლის მოხელეებთან დამოკიდებულებას. ტელეფონი ყოველ შემთხვევაში გამოიწვევს ერთ მუდმივ ხარჯს—ტელეფონთან მყოფ დარაჯების შენახვას. შევურიგდეთ ამ ხარჯსაც, მაგრამ ავაზაკობასთან საბრძოლველად ხომ მაინც სტრაჟნიკები არიან საჭირო. მაზრის ადმინისტრაცია ფიქრობს, რომ ამისათვის ის სტრაჟნიკებიც ეყოფა, რომელნიც მასა ჰყავს. ვთქვათ, სვირში ავაზაკობა მოხდა, შეატყობინეს მაზრის უფროსს, რომელიც, ეჭვი არ არის, ბაღდადის ბოქაულს აცნობებს დაედევნოს ავაზაკებს. სანამ ბოქაული თავის დარაჯებით სვირში მივა, ავაზაკები მეზობელ მაზრაში გადავლენ ან მიიმალებიან ხოლმე. ასე იქნება ყველგან, და საჭიროებას სტრაჟნიკების ყოლისას საზოგადოებებში კვლავ ალიარებს. გასაკვირველი არ იქნება, თუ ტელეფონთან ერთად ხალხს სტრაჟნიკების შენახვაც დააწვება კისერზე.

* * *

ხალხი შიმშილს არ განიცდისო, ამბობენ ჩვენი ბატონ-პატრონები. თითო-ოროლა ოჯახი ყოველთვის შევიწროებული ყოფილა სოფელში და, ეხლაც არისო, ხოლო უმრავლესობა თავის საშუალებით მოახერხებს თავის გამოკვებასაო. ასეთია პიროლი ადმინისტრაციისა, როცა შიმშილობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი. უარყოფა ასეთ განცხადებისა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხელთ გვექნება უტყუარი სტატისტიკური ცნობები მოსავლის შესახებ და ვინაიდან ეს ჩვენ არა გვაქვს, ხმა უნდა გავკმინდოთ და აკი ასეც არის. თუ ეხლა ხმა გამოვიღეთ მარტო იმისთვის, რომ ხელში ჩაგვივარდა ერთი დოკუმენტი, რომელიც ხმა მაღლა ღაღადებს ხალხის გაჭირვებაზე. აი, ეს დოკუმენტი, რომლის მართლ წერაც დაცული გვაქვს:

„1910 წელსა აპრილის 19 დღესა. პრიგოვორი. ვარდგენთ ამა პრიგოვორის ხელ წერილს ჩვენ ქუთაისი მაზრის (მოხსენებულია სოფლისა და სოფლის საზოგადოების სახელი) მცხოვრები გლეხები მაზედ რომ ჩვენ ვართ შევიწროვებული შიმშილისაგან და ვითხოვთ მოწყალებას იმპერატორი ხელმწიფიდგან დაგვიცოს და საზდო მოგვცეს ოთხი თვის შესხათ (იგულისხმე სესხი) რომ არაფელი საშვალოს არა გვაქვს არც ფულით და არც ნამუშავერით. ამისთვის რაც გვქონდა ან სათესლე მომავალი წლის ისეც ვიწროვებისთვის გაჭირვება რომ დაგვადგა შევჭამეთ და ახლა არც დღის საზდო გვაქვს და არც მომავალი წლის სათესლე. ამის მთხოვნელი ვართ...“

ხელს აწერს წარმომადგენელი 17 ოჯახისა, რომლებიც 70 სულისაგან შესდგება.

ასეთ განცხადებას, მგონი, განმარტება აღარ ეჭირვება.

**ნატალიაშვილი.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ახალი ნიხრი ეტლებისთვის.** გუბერნატორმა დაამტკიცა ტფ. ქალაქის საბჭოს მიერ შემუშავებული ნიხრი მეეტლეებისთვის. ეს ნიხრი მაქსიმალურია. ერთი გზობისთვის დაწესდა ორი აბაზი, საათობით—ოთხ-ოთხი აბაზი. ქალაქიდან განაპირა უბნებში—ნაძალადევში, დიდუბეში, ნავთლუღში და ბოტანიკურ ბაღში წასვლა, აგრეთვე იქიდან გაბრუნება—70 კაპეიკ. ქალაქიდან ვოგზალზე—75 კაპ. ვოგზლიდან ქალაქში და სასაფლაოებზე, აგრეთვე არამიანცის საავადმყოფოში ავლაბარში—50 კ. ვოგზლიდან ნაძალადევში და დიდუბეში—40 კაპ. ხოლო ვოგზლიდან სხვა განაპირა უბნებში—1 მან. ფუნიკულერის ძირითა სადგურზე—50 კ., იქიდან—40 კაპ.

✦ **თამარაშვილის თხზულება.** როგორც გვატყობინებენ, მღ. მიხეილ თამარაშვილის დიდ თხზულების ბეჭდვა რომში (საქართველოს ეკლესიის ისტორია) დამთავრდება და გასასყიდად გამოვა მაისის გასვლამდე.

✦ **სარქეოლოგიო საზოგადოება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, საჯარო წიგნთ-საცავის სადგომში მოხდება სხდომა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომა. მ. ჯანაშვილი წაიკითხავს რეფერატს ქართველთ დედოფალ მარიამზე (მე-17 ს.). სხდომა განიხილავს აგრეთვე საკითხს გრაფინია პ. ს. უვაროვისას პატივისცემის შესახებ. წელს შესრულდა 25 წლიწადი, რაც გრ. უვაროვისა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების თავმჯდომარედ არის.

✦ **დაფასება.** დამფასებელი კომისია ქალაქის დაფასებას მაისის ათ რიცხვიდან შეუდგება. კომისიის მოხელე-მოსამსახურეთა შტატი ჯერ არ არის შევსებული. 14 დამფასებელს გარდა, ასარჩევია კიდევ 5 კურიერი და 7 გადამწერი. ქალაქის გამგეობისა და დამფასებელ კომისიის შეერთებულ სხდომაზე ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე, ვინ დანიშნოს კურიერები და გადამწერლები—ქალაქის გამგეობამ თუ კომისიამ. რადგან მოსამსახურეთა შტატი დამოკიდებულია დამფასებელ კომისიაზე, შეერთებულმა სხდომამ კომისიას დაავალა მოხელე-მოსამსახურეთა დანიშვნა.

✦ **ხორცის დაძვირება.** ხორცის ფასი ძლიერ ასწიეს ყასბებმა ტფილისში, განსაკუთრებით განაპირა უბნებში. ნიხრს იშვიათად იცავენ, ისიც შუაბაზარში, სხვაგან-კი ხორცი 15—16 კაპ. იყიდება. ამის გამო უსიამოვნება ხშირია მყიდველებსა და ყასბებს შორის. საჭიროა, საბჭოს კომისიამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, გამოარკვიოს მიზეზი ხორცის სიძვირისა და იღონოს რამ ვაჭრობის ნორმალურ მდგომარეობაში ჩასაყენებლად.

✦ **საკრედიტო საზოგადოება.** კვირას, 2 მაისს, დილით 11 საათისთვის დანიშნულია საზოგადო კრება ტფ. საკრედიტო საზოგადოებისა. კრება განიხილავს წასული წლის ანგარიშს, ხარჯთ-აღრიცხვას და რამდენსამე მიმდინარე საქმეს. კრებამ უნდა აირჩიოს აგრეთვე რამდენიმე თანამდებობის კაცი.

✦ დღეს, 29 აპრილს, საღამოთი მოხდება ჩვეულებრივი სხდომა წ.-კ საზოგადოების გამგეობას.

✦ 27 აპრილს ჩხრეკის დროს პოლიციამ 1, 2, 4 და მე-9 საპოლიციო ნაწილებში დააპატიმრა 21 უპასპორტო,

✦ ამას წინად გარეგინ არზიევის სამანუფაქტურო მაღაზიიდან მოიპარეს 5000 მანეთის საქონელი. პოლიციელებმა დიდის ხნის ჩხრეკა-ძიების შემდეგ ეჭვით დააპატიმრეს ნიჩბისის მცხოვრები ნიკოლოზ ხუტაშვილი და ოლღა ასმაზოვისა. მათ აღმოაჩნდათ ერთი ნაჭერი აბრეშუმის მატერიისა, რომელიც არზიევმა თავის საქონლად იცნო. გარდა ამისა, დააპატიმრეს სოფიო აველიქოვისა.

✦ სადგურის ქუჩაზე დააპატიმრეს ნოვო-ბაიაზეთის პოლკის ჯარის-კაცები ვასილ და ივანე კუკუშკინები, რომელნიც პოლკიდან 24 აპრილს გამოქცეულან. დაპატიმრებულნი ტფ. საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს.

# მოწერილი ამბავი

**ბათუმი.** 25 აპრილს გვეწვია ბათუმელ ქართველებს ჩვენი მგოსანი აკაკი. მან წაიკითხა ამ დღეს ლექცია საქართველოს სიძველეებზე. ბევრს არ ენახა აკაკი და ბევრს კიდევ არ გაგვეგონა მისი ტკბილი ბასსი. ხალხი ბლომად დაესწრო. „ჩვენი ქვეყანა სიძველეთა აკლდამაა,—ბრძანა აკაკიმ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზრდობა უფრო უცხო ქვეყნებს იცნობს, ვიდრე ჩვენსას. ერთმა ახალგაზრდამ, რომელსაც ევროპა მოევლო, არც-კი იცოდა, თუ არსებობდა ისეთი ნაშთი, როგორიც არის ბაგრატ მე-4-ს ტაძარი ქუთაისში, რომელსაც იგი დღეში რამდენჯერმე ავლდ-ჩაუვლიდაო, ნაკლებ იცნობენ აგრეთვე ჩვენ ლიტერატურას, ისეთ დიდებულ ნაწარმოებსაც კი, როგორიც არის რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“. აი, ამისთვის და ზეპირ სიტყვიერების შესაკრებად უნდა ქართველმა რომ თითო აბაზი გამოიღოს, დიდი თანხა შესდგება და საქმესაც გავაკეთებთო. ბოლოს, მცირე შესვენების შემდეგ წაიკითხა ჯერ დაუბეჭდავი ლეგენდა ვახტანგ მეფეზე, სადაც ის აზრია გამოყვანილი, რომ წინანდელი სისხლის ღვარი ახლა ოფლის ღვრათ უნდა შეიცვალოს და ფარხმალი,—თოხ-ნიჩბად, უნდა ვიშრომოთ თუ გვინდა ბედნიერნი ვიყვნეთო.

**ტრ. ი—ძე.**

---

**ერწო** (თიანეთის მაზრა). წარსული ზამთარი აქეთ ძლიერ კარგი იყო, რამაც ხელი შეუწყო საქონლის კარგად და უზარალოდ გამოკვებას. ჯერ კიდევ თებერვალში გაისმოდა მინდვრად გუთნის ხედ გლეხის თრთვლა. ამ დროს აქ ხვნა-თესვა იშვიათი მოვლენაა. ყანებიც კარგია ძლიერ, ასე რომ ბევრს არ ახსოვს ასეთი კარგი ყანები. გლეხის სიხარულს საზღვარი არა აქვს.

უცხოელების ყურადღება ამ ჩვენმა „მამამ“ ერწომაც მიიქცია. შემდგომიდან მოკიდებული აქნამდის სულ „ხიდოკები“ დაიარებოდნენ მამულების დასათვალიერებლად, მაგრამ ჯერ არავის უყიდნია მამული. იჯარით კი აიღეს. აქაური გლეხებიც „ყიდულობენ მამულებს, მარტო ტოდათსოფლის საზოგადოებაში ოთხი-ხუთი მამული იყიდეს გლეხებმა.

კარგა ხანია ერწოელები ქსენონის დაარსებას სთხოვენ მთავრობას. ამ ბოლო დროს თითქო ესმინეს. თებერვალში მოსწერეს, სახლი ეშოვათ, მაგრამ დღესაც არსად არის და მგონი აქ სამუდამოდაც აღარ იქნება, რადგან როგორც ხმა დადის, თიანეთში სამაზრო მართველობა ისპობა და ქსენონს უფრო თიანეთში დაარსებენო. საჭირო კი ქსენონი ისე არსად არ არის, როგორც აქ. უოველ წლივ მრავალი ხდება მსხვერპლი მოუვლელობა-უწამლობისა და სოფლის მკითხავ-ექიმებისა. ამ ერთი კვირის წინად ერწოელ მამასახლისებს მოწერილობა მოუვიდათ ხევსურთ-სოფელში უოველ კვირა ექიმი იქნება და ავადმყოფები მოიყვანეთო. ეს რო გაიგო ხალხმა, სიხარულით ცას დაეწია. ეგონა, ახლა კი მოგვცეს სახელმწიფო ექიმით და ექიმის ამპირველ მოსვლაზე აუარებელი ხალხი მიაწყდა, მაგრამ მათი სიხარული ხან მოკლე გამოდგა, რადგან სამაზრო ექიმი მოსულიყო და ფასით სინჯავდა ავადმყოფთ. „არარაობას ცალ-უღელა ხარი სჯობიაო“, ნათქვამია, თუ ქსენონი არ იქნება, თუ კი ამას მოაწესრიგებს სამაზრო ექიმი და უოველ კვირა ავადმყოფებს გასინჯავს მცირედ სასყიდლის მიღებით, დიდი მადლობის ღირსი იქნება და დიდ სარგებლობასაც მოუტანს ხალხს.

მოდაშია ასეთ ღთობის წინააღმდეგ წამლის სმა. და იწყეს სულიერმა მამებმა. ამბობენ, რგებსო. ნეტა არ იქნებაა! ეს დალოცვილები, ისე ეტანებიან სასმელს, როგორც ბუზი თაფლს. უოველსავე გონების საზრდოს მოკლე, ბუდნი არიან.

მთელ მაზრაში ორი სამი მღვდელი არ იწერავს ჟურნალ-გაზეთებს. როდესაც რაიმე კრება აქვთ, მათი პირველი გასარჩევი მუხლი არის სადილგასამზედ ზრუნვა.

**ერწოელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**არტისტის გედევანოვის იუბილეი.** აახლოვდება არტისტის გ. გედევანოვის საიუბილეო დღესასწაულის დრო: 6 მაისი და იქით-აქედან მოდის წერილები იმათგან, ვისაც სურს მსახიობს პატივი სცეს და იუბილეიში მონაწილეობა მიიღოს. სხვათა შორის, ასეთი სურვილი გამოუცხადებიათ სომხეთა ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიას და ტფ. ნერსესიან სასულიერო სემინარიას. პირველს, თვის დელეგატად დაუნიშნია პროფესორი აგა... ნიანც, ხოლო მეორეს—3-ენი კაპანაკიანი და ბაბაიანი.

# საზღვარ-გარედ

**მუშათა გაფიცვა დიუნკირხენში.** რამდენიმე კვირაა, რაც დიუნკირხენის შენობათა ამგებ მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და მუშაობა შესწყვიტეს. პირველ ხანებში გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობდა, შემდეგ კი საქმე მეტად გამწვავდა და 19 აპრილს საყოველთაო გაფიცვაც გამოცხადდა. ამ დღეს მუშები დემონსტრაციის მოხდენას აპირობდენ, ქალაქის ქუჩებში უნდა გაევლოთ. მაგრამ პოლიციამ წინდაწინვე იცოდა ეს და გამოაცხადა, რომ არაფრის გულისათვის ნებას არ მისცემს ქუჩებში დემონსტრაციით გაიაროს ვინმემო. ჯარი მზადა ჰყავდათ. მუშები შეეცადნენ მაინც თავისი გაეტანათ, მაგრამ ჟანდარმთა რაზმი დახვდათ წინ. შეტაკების დროს რამდენიმე მუშა დაშავდა მსუბუქად, ხოლო ერთი მუშა სერიოზულად დაიჭრა. საამშენებლო მუშათა წარმომადგენლებმა მიმართეს სხვა მუშათა ორგანიზაციებს, რომელთაგანაც სრული თანაგრძნობა მიიღეს. გემების ამშენებელმა მუშებმა პირველებმა დასტოვეს სამუშაო და შეუერთდნენ გაფიცულ მუშებს. გაფიცულებმა მოითხოვეს ჯარის გაყვანა ქალაქის ქუჩებიდან. ეს მოთხოვნა პირველად კიდეც აასრულეს. მანიფესტანტებმა გაიარეს ქუჩები, შეაჩერეს ტრამვაის მოძრაობა, ფაბრიკების მუშებიც შეუერთდნენ და მუშაობა შესწყვიტეს. მანიფესტანტები რამდენიმე ნაწილად გაიყვნენ და ქალაქის სხვა და სხვა ნაწილს მოედვნენ. ზოგიერთა გაფიცულებმა დაანგრიეს ფარდული, სადაც წინად ჯარი იყო დაბანაკებული. 300 მუშა გაემართა ვოგზლისაკენ და იქ მათსა და ჯარს შუა შეტაკება მოხდა. საღამოზე შრომის ბირჟას შენობაში გაიმართა მიტინგი. მუშათა სინდიკატების უდიდესი ნაწილი მიემხრო გაფიცულთ და დაადგინა, მეორე დღესვე თავი მიეტოვებინა სამუშაოსთვის. შეტაკება მუშებსა და ჯარს შორის კიდევ მოხდა და გაზეთების სიტყვით, ორივე მხრიდან ბლომად არიან დაჭრილნი. მეორე დღესაც ისეთივე მდგომარეობა იყო. მუშებსა და ჯარს შორის შეტაკება ხდებოდა. ჯარმა კვლავ დაიჭირა ქალაქის უმთავრესი ადგილები. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ამ ჟამად საყოველთაო გაფიცვა უკვე დამთავრებულია.

# სასამართლო

## მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა.

გუშინ, 28 აპრილს, კავკ. სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ამხანაგობის სტამბის უფროს მუშის გარშენინის მოკვლის შესახებ. ეს მკვლელობა მოხდა შარშან ნოემბერში. სამართალში მიცემული იყო სამი კაცი: გრ. ოჰანეზოვი, ივ. იაგულოვი და გიორგი გორგასანიძე.

სასამართლომ ოჰანეზოვი გაამართლა, ხოლო იაგულოვი და გორგასანიძე დამნაშავედ იცნო და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

---

**ერევნის მოედანზე ფულის გატაცების საქმე.**

როგორც მკითხველებმა იციან, ერევნის მოედანზე 1907 წელს გაიტაცეს 250,000 მანეთი სახაზინო ფული. ამ საქმის გამო შეიპყრეს რამდენიმე კაცი. ზოგი ბრალდების უქონლობის გამო ადმინისტრატიულად გაგზავნეს, ზოგიც გაანთავისუფლეს. მხოლოდ დაჭერილთაგანი ტერ-პეტროსოვი სასამართლოს გადასცეს. ტერ-პეტროსოვი შეიპყრეს გერმანიაში და ჯერ იქავე უპირობდნენ გასამართლებას, მაგრამ სულით ავადმყოფი აღმოჩნდა. იმისი სულიერი მდგომარეობა შეუმოწმებიათ ბერლინის გამოჩენილს პსიხიატრებს და რადგან სულით ავადმყოფად უცვნიათ, აღარ გაუსამართლებიათ და ოპეკუნისთვის ჩაუბარებიათ. შარშან 1909 წ. რუსეთს მოუთხოვნია ტერ-პეტროსოვის გადმოცემა რუსეთის მთავრობისათვის. ამ საქმის გამო საზღვარ-გარედ სხვებიც და-

---

— ქრისტე აღსდგა!—მოულოდნელად როგორღაც წაიბუტბუტა და ხელი გამომიშვირა.

— ჭეშმარიტად!—გადავხვიე, ვაკოცე. შევატყე ქაჩალს, თითქოს ცახცახებდა. გავშტერდი. ქაჩალი და ცახცახი!

— შენთან სათხოვარი მაქვს, დამავალე, ამისრულე,—ისევ წაიბუტბუტა ქაჩალმა და ისევ თვალს მარიდებდა.

— თუ კი რამ შემიძლიან, ქაჩალავ, დიდი სიამოვნებით. მითხარი, რაშია საქმე?

ქაჩალი ეხლა მძიმედ სუნთქავდა, სახე თან და თან უწითლდებოდა, ღრმად ამოისუნთქა და წამოიძახა:

— უნდა შეურიგდე!

— ვისა, ქაჩალავ?

— იმას... კოჩორას... — და ამ სიტყვებთან აიღო თავი და შემომხედა.

მე შევკრთი და დავაცქერდი ქაჩალს, წუთს თვალები ერთი ერთმანეთს გაუყარეთ. ელვასავით აზრში გამიარა და მომაგონდა „მოძღვარის“ გუშინდელი კითხვა და ქაჩალის საქციელი. ვიფიქრე კოჩორას რაღაცას უპირებს, უნდა როგორმე გამოიტყუოს და გაუსწორდეს მეთქი. ალბად გამიგო აზრი ქაჩალმა, ხელი მხარზე დამადო, უფრო მომიახლოვდა, თვალებს არ მაშორებდა და მითხრა:

— „ქაჩალი არასოდეს არ მოგატყუებს, ქაჩალის სიტყვა ბეჭედია. გთხოვ, ამისრულე, წადი, უფროსს სთხოვე, გამოუშვას. სიტყვას გაძლევ, მინდა შეურიგდე, ვაპატიო...

არ ვიცი, რა ძალა ჰქონდა იმ დროს ქაჩალის თვალებს, მაგრამ იმ წუთს ვგრძნობდი, მჯეროდა, რომ იგი მართალს ამბობდა...

— კარგი, ქაჩალავ,—და გავწიე კანტორისაკენ.

შევედი სატუსაღოს უფროსთან. რა წამს გავახსენე ქაჩალის თხოვნა, უფროსმა ხელები გაიქნია.

— რას ამბობთ, რასა? არ იცნობთ მაგ ნადირს, რა არის?.. მაგ მხეცმა რომ ასტეხოს რამე, თქვენ აგებთ პასუხს?..

ბევრის ხვეწნით, მუდარით, თხოვნით, როგორც იყო, დავითანხმე უფროსი. ამ გვარი შერიგება მისთვისაც სასიამოვნო იყო და, როგორც იყო, დავაჯერე. გამაყოლა უფროსი ზედამხედველი და უბრძანა, კოჩორა გამოეშვათ. შევედით კოჩორას „სეკრეტში“. საცოდავი, გამხდარი, გაფითრებული მიწოლილიყო ტახტზე. რა წამს შევაღეთ კარი, იმ წამს ფეხზე წამოხტა. უთხარი კოჩორას, რისთვისაც მოვედი. აკანკალდა საწყალი.

— მომკლავს, დამაღრჩობს... არ მინდა!

ცახცახებდა და ხელებს იქნევდა შეშინებული. როგორც იყო დავამშვიდე, სიტყვა მივეცი, რომ მე არ მოვშორდები მეთქი, ხელი-ხელთ ვიქნებით და თუ ქაჩალმა რაიმე განიძრახა, მე წინ წაუდგები მეთქი და შენ მოასწრობ თავს უშველო. დავიყოლიე კოჩორა და გამოვიყვანე.

გამოვედით ეზოში. აქ გვიცდიდა ქაჩალი და ტუსაღებიც შეგროვილიყვნენ. კოჩორას ხელი მეჭირა და ვგრძნობდი როგორ ცახცახებდა. მიუახლოვდით ქაჩალს; იმანაც ჩვენსკენ გამოსწია. შესდგა კოჩორა და როგორღაც ინსტინქტიურად მომეხვია, თითქოს სცდილობდა, მე მომეფარებოდა. სწორედ მოგახსენოთ მეც კი ამიკანკალდა გული, ვფიქრობდი: ვაი თუ ქაჩალმა ვერ შეიკავოს თავი, აბა მე რას გაუხდებოდი. და თუ ერთი კი სტაცებდა ხელს, მორჩებოდა: სხვა ტუსაღებიც მისცვივდებოდნენ, ასტყდებოდა საშინელი აურ-ზაური, გამოუძახებდნენ ჯარს, ასტეხავდნენ სროლას და არა ერთი მსხვერპლი იქნებოდა. ვგრძნობდი, რა მოვალეობას ვიღებდი თავზე და, სწორედ გითხრათ, მეშინოდა... მოვიდა ახლო ქაჩალი, წუთს დააცქერდა გაფითრებულ კოჩორას.

— კოჩორავ... ქრისტე აღსდგა!.. აი ხალხი მოწამეა, მიპატიებია...— კიდევ გადმოსდგა ერთი ნაბიჯი, გადაეხვია შიშისაგან გაშეშებულ კოჩორას და მაგრა ჩაჰკრო უბეში.

რაღაც სიმძიმე ვიგრძენ. ვერ მოვასწარი ხელი. უცბად დაეშვა მუხლებზე კოჩორა, მოეხვია ფეხებზე ქაჩალს.

— ღირსი არა ვარ, ქაჩალავ, გაგყიდე, გიღალატე!—და ხმამაღლა ქვითინი ამოუშვა.

— კარგი, კარგი! რაც იყო—მორჩა. შენ არ გესმოდა, რას ჩადიოდი. ადე, ადე ისევ ძმები ვიყოთ!— უთხრა ქაჩალმა, წაავლო მხრებზე ხელები, ასწია, როგორც ბავში და ფეხზე დააყენა, გადაეხვია და კიდევ აკოცა. კოჩორა გულმოდგმით ტიროდა.

გადმოხტა ყორანა, გადაეხვია კოჩორას.

— ქრისტე აღსდგა!—უთხრა და დაჰკოცნა:—რაკი ქაჩალმა გაპატია, ახლა ჩვენიც ძმა ხარ. არხეინად იარე, ისევ ჩვენი ხარ!—მიუბრუნდა ახლა ქაჩალს:—აღდგომის მადლმა, ქაჩალავ, კაი ძმა კაცი ხარ აი!..

შევხედე ქაჩალს და მის მარცხენა თვალის წამწამზე მარგალიტივით ცრემლი შევამჩნიე...

როგორღაც გამოეპარა მაღალ ციხის გალავანს ერთი მზის შუქი, შეეთამაშა სატუსაღოს კედლებს და კამერების ფანჯრების შუშებს, გადმოხტა მერე შეჯგუფულ ტუსაღებზე, თითქოს გაუკვირდა, შეკრთა და გაჩერდა აქ...

აქაც თითქოს „ქრისტე აღსდგა“. არა სტყუოდნენ პატარა ზარები...

**ი. გედევანიშვილი.**

# თვალები

კ. ტეტმაიერისა.

მომაკვდავს თვალთ დაუბნელდა. იგრძნო მოახლოვება სიკვდილისა...

გონებაში ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი თვის განვლილ ცხოვრებას, სურდა უკანასკნელად კიდევ დაენახა იგი...

იმის თვალწინ მწკრივად მოსდევდა ერთმანეთს და იცვლებოდა სხვა და სხვა სახე. თვითეული მათგანი გონებაში ნათლად უძრავდა ტანჯვის ან ბედნიერების მოგონებას. მაგრამ ტანჯვა-უბედურება სჭარბობდა ბედნიერება-ნეტარებას და მომაკვდავს ჩაღადაც არ მიაჩნდა სიცოცხლე, თავი სულ არ ენანებოდა. არ ენანებოდა ისიც, რომ ის ამ სახეებს ველარ იხილავდა.

მაგრამ უცებ, სხვათა შორის, იელვა თვალებმა, ცრემლით სავსე თვალებმა... მომაკვდავმა იცნო ეს თვალები. სხვას ყველას მოარიდა თვალი და მარტო მათ დაუწყო მზერა.

ეს თვალები იყო ერთ მობულ მათხოვარასი, რომელსაც მან ერთ ზამთრის სუსხიან ღამეს საკუთარი წამოსასხამი მისცა, თვითონ კი ისე წავიდა...

და მოიცვა მომაკვდავი დიდმა სევდამ, რომ ამ თვალებს იგი უკანასკნელად ხედავდა და სიკვდილის შემდეგ ველარ იხილავდა...

**ხანგანიძე.**

იპირეს და მათი საქმეები ადგილობრივ გაარჩიეს. ტერ-პეტროსოვი გერმანიის ძთავრობამ გადასცა რუსეთს. ტფილისში საქმის გამოძიების შემდეგ ტერ-პეტროსოვი სამხედრო სამართალში მისცეს.

26 აპრილს ხელმეორედ იყო ტფილისის სასამართლოში დანიშნული ტერ-პეტროსოვის საქმე. ბრალს სდებენ კიდევ ერთს ვინმე მირსკის, რომელსაც უნდა თავისი პასპორტი გადაეცეს ტერ-პეტროსოვისათვის. საქმის გარჩევა დახურულ კარებში დაიწყო. დაბარებულ იყვნენ ექიმი-ექსპერტები. სასამართლომ 27 აპრილს დაადგინა, საქმე გადასდოს და ტერ-პეტროსოვის სულიერი მდგომარეობა შეამოწმოს. ტერ-პეტროსოვს სპეციალურ საავადმყოფოში დააწვენენ.

—

**ბაქრაძის საქმე.**

როგორც ვწერდით, 27 აპრილისთვის ტფ. სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო საქმე გორის მაზრის უფროსად ნამყოფს ბაქრაძისა, რომელსაც ჰბრალდება სამსახურის დროს დანაშაულობის ჩადენა. რადგან რამდენიმე მოწმე არ გამოცხდდა, საქმე სხვა დროისთვის გადასდო.

## თივის საგროვებელის შესახებ

გაზეთ „დროების“ დამატებაში, ამ წლის იანვრის პირველ ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი ნახატით „ახალი თივის საგროვებელი მანქანა“. ამას წინად მივიღე ღია წერილი მთავარ ნ. ოქრომჭედლოვისაგან, რომელიც მთხოვდა ახსნას, თუ როგორ არის მოწყობილი ზემო-ხსენებული მანქანა. ამიტომ საჭიროდ ვრაცხ გაზეთის საშუალებით ვაცნობო ამ მანქანის მოწყობილება ყველას, ვისაც ეს საქმე ეინტერესება.

მანქანის სიგანე უდრის შვიდ ნაბიჯს, ოღონდ შეიძლება თოთხმეტ ნაბიჯამდის იქმნას გაწეული. იგი გადადგმული ორ ღერძით შეერთებულ რკინის თვლებზე. კბილები, რომელიც წინ აქვს გაკეთებული, სურვილისამებრ შეიძლება აიწიოს და დაიწიოს. ეს ხდება პატარა, ხელით სატრიალებელ გოგორის საშუალებით. პრუჟინების წყალობით, რომელიც კბილებს აქვს დატანებული, შესაძლებელი ხდება კბილების მიწის უსწორ-მასწორობასთან შეგუება (აწევ-დაწევით). თვლების ორივე მხარეს აქვს აქვს ხელნები, რომელშიაც ცხენები ბმია.

ყოველ სოფლელ მეურნეს შეუძლიანს ამის გაკეთება. ვინც ურმისა და თვლების გაკეთება იცის, მას ეს საქმე არ გაუჭირდება, მით უმეტეს, რომ შეიძლება სულ უბრალოდ გაკეთდეს. მართალია, შინ გაკეთებული მანქანა ასეთი კარგი თვისებისა არ იქნება, მაგრამ ჩემის აზრით, ბევრად იაფი, ხელსაყრელი და სახერხო იქნება თივის ხელდახელ მოსაგროვებლად.

ჩემის აზრით, ვისაც უნდა, რომ სახელ-და-ხელოთ გააკეთოს მანქანა, ასე უნდა გაკეთდეს: უნდა აიღოს ხე, სიგრძით ხუთი-ექვსი ნაბიჯი გაითალოს და გაკეთდეს ფოცხი (როგორც პატარა საგოავების, იმის მინაგვარი), მხოლოდ უმჯობესი იქნება, თუ თითები რკინისა გაუკეთდება. ფოცხის ზევით უნდა გაუკეთდეს მოაჯირი თივის დასამაგრებლად, ისე როგორც ზემო-ხსენებულ მანქანასა აქვს (იხილე დამატება № 1). აქეთ-იქით გაუკეთდება თვლები. ამ შემთხვევაში დერძად უნდა იხმარებოდეს თვით ფოცხვის ძირის ხე. ამიტომ ძირის ხე მოაჯირის ხეზე განიერი უნდა იყოს, რომ აქეთ-იქით თვლები გაეყაროს. შუაში ფოცხს გაუკეთდება 1 ან 2 ხელნა, რომლითაც შესაძლებელი იქნება მისი ტარება ხარების ან ცხენების საშუალებით. ფოცხის ძირის ხე, რომელშიაც ხელნები იქნება გაყრილი, უნდა გაიხვრიტოს აგრეთვე იმ მხრიდანაც, საითაც თითები ექნება, რომ მუშაობის შემდეგ ხელნები გამოსძვრეს და გაეყაროს მეორე გვერდში, თითების მხრივ. ამ შემთხვევაში ფოცხი მოაჯირით უკან გადაიწევა, თითები გამოშვერილი იქნება ხელნებისაკენ და მთელი ფოცხი აიწევა მაღლა, რომლის წადება-წამოღებაც გაადვილდება.

**რ. გ—შვილი.**

## რუსეთი

✦ **ყალბი დოკუმენტებით ფულის გამოტანა.** „რუსკ. სლოვოს“ ქალაქ სლუცკიდან დეპეშით ატყობინებენ: ადგილობრივ ხაზინის რევიზიის დროს გამოირკვა, რომ ხაზინასთან არსებულ შემნახველ კასიდან სისტემატიურად ყალბი დოკუმენტების ძალით ფული უძღევიათ. სულ ასეთი შემთხვევა უოფილა ათასი. ასე ამბობენ, რომ ამ საქმეში წილი უდევს მოხელე კულეჩევიჩსა. კულეჩევიჩის სახლის გაჩხრეკის დროს, კულეჩევიჩმა თავი მოიკლა.

✦ **რუსეთ-ჩინეთის ბანკის გაქურდვა.** სტატსტო ქალაქის გაზეთებს ჩიტადან ატყობინებენ: 4 აპრილს, შუადღის 12 საათზე, რუსეთ ჩინეთის ბანკის კასირი ჩავიდა ბანკის ძვირფასეულობის საწყობში. მას უნდოდა საწყობის დათვალიერება. საწყობი ღია დაუხვდა. ყველაფერი აწეწილ-დაწეწილი. კასირმა ყველაფერი ეს დაუყოვნებლივ ბანკის ადმინისტრაციას შეატყობინა. საწყობის დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ უცნობებს წაუღიათ ფულად 16,000 მანეთი და 10,000 მანეთის ფასიანი ქაღალდები.

✦ **პირველი მაისი პოლონეთში.** „რეჩის“ სიტყვით პირველ მაისს მთელ პოლონეთში მშვიდობიანად ჩაუვლია. პოლიცია წინ და წინვე დარაზმულა, აქა-იქ ჩასაფრებულა, ყოველნაირი ზომები მიუღია, მაგრამ ტყუილად.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 1, ვარშავაში 2, ოდესაში 3, უფაში 1, ხარკოვში 2 კაცი: სიკვდილით. დასაჯეს: ხარკოვში 2, უფაში 1, ოდესაში 2 კაცი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ამ ჩემს სამადლობელ წერილს ადგილი დაუთმოთ „დროების“ მახლობელ ნომერში.

მიმდინარე წლის იანვრის თვეში ზუგდიდის სატუსაღოს ეწვია კაცობრიობის უბოროტესი მტერი—ლაქებიანი ხურვება (СЫПНОЙ ТИФЪ). აქ ეს სნეულება ორ თებერვლამდე მძვინვარებდა და ერთის თვის განმავლობაში იგდო თავისს ბრჭყალებში ოცდა-ათამდე ტუსაღი და ამათგან შვიდი იმსხვერპლა. ბევრის ცდისა და სნეულებასთან ბრძოლის შემდეგ სატუსაღოში სენი შესწყდა, მაგრამ ბოლოს მან გამოასალმა წუთი სოფელს მაზრის ექიმი ფანიევი და სულ უკანასკნელად ავად გავხდი მეც. ავადმყოფობის დროს ზუგდიდის საზოგადოებამ ფრიად დიდი თანაგრძნობა გამომიცხადა, რისთვისაც ვსწირავ გულ-წრფელ მადლობას და მიხარის, რომ ამ დროებით შემხვდა ცხოვრება და სამსახური კაცთ-მოყვარეობით აღვსილ ხალხში. ამასთან ჩემს ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლი უღრმესი მადლობა შევსწირო ექიმებს ალბერგს და მეუნარგიას, რომელთაც სწორედ ამხანაგურად გამომიწოდეს ხელი და სნეულებასთან ბრძოლის დროს დახმარება გამიწიეს.

ზუგდ. მაზრის ექ. **იას. მუჯირი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის მე-66 ნომერში დაიბეჭდა ქუთაისის სათავად-აზნაურო საკრებულოს მდივნის თანაშემწის ბ-ნ მაჭავარიანის წერილი, რომელსაც გთხოვდათ მოგეთავსებიათ სიმართლის აღსადგენად. რადგან ბ-ნი მაჭავარიანი, სიმართლის აღდგენის მაგიერ პირიქით მას ჰფარავს, გთხოვთ, იძულებული ამისა გამო, მომითავსოთ თქვენს გაზეთში ეს წერილი*). ამასთან ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რადგან წერილი ვრცელი მომივიდა, მაგრამ უფრო მოკლედ არ შემეძლო პასუხის გაცემა.

როგორც თვით ბ-ნი მაჭავარიანი აღიარებს თავის წერილში, კიევის უნივერსიტეტში დამკვიდრების შესახები ჩემი ცნობა მიუღიათ წარსული წლის 11 ნოემბერს, ხოლო 20 ნოემბერს ფული (15 მ.) ისევ ხარკოვში გაუგზავნიათ. საკვირველია: მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ მაჭავარიანს მიღებული ჰქონდა ქაღალდები: პირველი—ოქტომბერშივე იმის შესახებ, რომ ფული ჩვეულებრივად არ გაეგზავნათ ხარკოვში, და მეორე, მიღებული 11 ნოემბერს, რომლითაც ვატყობინებდი ჩემს აქ გადმოსვლას და ვთხოვდი ფულის აქ გამოგზავნას, მას მაინც გაუგზავნია ფული არა კიევში, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ხარკოვში. ასეთს ქცევას მაჭავარიანისას მივაწერ მისს გულგრილობას და საქმის დაუკვირებლობას.

თავის წერილში ბ-ნი მაჭავარიანი ორჯელ იმეორებს, რომ ეს სტიპენდიატი ორი წლის განმავლობაში წელიწადი და ათი თვე სულ აქ, ქუთაისში, იყოო. ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ ორი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში მარტო ორი თვე ვყოფილვარ. მიკვირს, რად კადრულობს ბ-ნი მაჭავარიანი ასეთ სიცრუეს?! ნუ თუ მარტო იმისთვის, რომ მკითხველი საზოგადოება, რომელმაც ეს საქმე არ იცის, მოატყუოს? სამოსწავლო დროს მე გახლდით არა ქუთაისში, არამედ უნივერსიტეტში, სადაც სხვებთან ერთად ეგზემენებისთვის ვემზადებოდი და კიდევაც ვაბარებდი. ქუთაისში გახლდით მხოლოდ ზაფხულობით.

ბ-ნი მაჭავარიანი ფულის გამოუგზავნელობის მიზეზად (ნოემბრიდან) ასახელებს იმას, ვითომ იანვრამდე საკრებულო ცნობებს ჰკრებდა ჩემს შესახებ და მერე კი, ცნობების შეკრების შემდეგ, თებერვლის დამლევამდე „ასსიგნოვკა“ არა ყოფილაო. უსაბუთო თავის გამართლებაა. ვეთანხმები ბ-ნ მაჭავარიანს, რომ საკრებულო ცნობების შეკრებას შესდგომია ასეთ უნივერსიტეტში დაუმკვიდრებელ სტიპენდიანტის შესახებ. მაგრამ რითი ავხსნათ, რომ ცნობების შეკრების შემდეგ, რომელიც, მაჭავარიანისავე სიტყვით, იმ წელსვე დამთავრდა, არ გამომიგზავნეს ნოემბრის და დეკემბრის ფული 7 მარტამდე, თუმცა მე განმეორებით გავგზავნე თხოვნა დეპეშით იანვრის ათს რიცხვს?! ამ თვეების ფულის „ასსიგნოვკა“ ხომ იყო, ბ-ნო მაჭავარიანო? ამის უარისყოფა არ შეიძლება, რადგან კიევის უნივერსიტეტის ჩემმა ამხანაგებმა ამ თვეების ფული დეკემბერშივე მიიღეს. ან შეიძლება ჩემთვის ფული გამოგიწერიათ, რადგან ცნობებს ჰკრებდით? მაშინ გამოდის, რომ საკრებულოს არ გაუხდივარ ღირსად ჩემთვის ფული არ გამოეტანა და იქ მაინც გაეჩერებინა ცნობების შეკრებამდე. ეს აჩქარებული გადაწყვეტა იქნებოდა საკრებულოსი, რადგან უკანასკნელმა იცოდა, რომ კრედიტი ყოველ თვეში არ იხსნებოდა და მიუხედავად ამისა, ჩემის მდგომარეობის დაკმაყოფილებას მომავალ კრედიტს ანდობდა.

ბ-ნი მაჭავარიანი ამბობს: „სრული სიცრუეა სტ. ჯაფარიძისა, ვითომ მე რაიმე ქაღალდი დამეკარგოსო“. მე არ მოგახსენებთ, ვითომ ქაღალდი შენობიდან დაკარგულიყოს. არა, მე ვამბობ, რომ თავის ადგილას არ მოგითავსებიათ და თქვენი თვალიდან დაკარგული იყო მეთქი, რის გამოც, ვიმეორებ, ხარკოვში ფული აღარ მომსვლია. ამის უარი თქვენ არ შეგიძლიათ, რადგან, როდესაც ჩამოვედით მანდე, თვით მარშალმა თ-დმა სიმონ წერეთელმა მისაყვედურა: „რატომ უნივერსიტეტის მოწმობა არ გამოგზავნეო“. მოვედი თქვენთან, გკითხეთ ფულის გამოუგზავნელობის მიზეზი და თქვენც მიპასუხეთ: „უდოსტოვერენიე“ არ არის და რა ვიცოდით, რომელ უნივერსიტეტში გამოგვეგზავნაო“. ამ სიტყვების შემდეგ მე თითონ დიომიდე კალანდარაშვილთან ერთად მოვძებნე ეს ქაღალდი და გაჩვენეთ თქვენ, ბ-ნ მაჭავარიანს. აი, ამას ვეძახი მე ქაღალდის გადაკარგვას.

ბ-ნ მაჭავარიანი ქვევით იხსენიებს იმას, რომ სტ. ჯაფარიძე სულ აქ, ქუთაისში, იყო და ფულსაც აქ იღებდაო. ძლიერ სურს ბ-ნ მაჭავარიანს ჩემი ფულის მუდამ ქუთაისში აღებით დაამტკიცოს მუდმივი ჩემი იქ ყოფნა. ჩემი ფულის ქუთაისში აღების მიზეზი გახლდათ აი რა: 1908 წ. დანიშნული სტიპენდია ყველამ ავიღეთ მანდ ივნისში, რადგან მანამდის კრედიტი არ იყო გახსნილი, და ივნისში ხომ სწავლა არსად არ არის მეორედ კი აგვისტოს დამლევს ავიღე წინდაწინვე თებერვლის დამლევამდე, რადგან მე საშუალება არ მქონდა. ამგვარ დახმარებაზე საკრებულოს მხრივ უარს არა ვყოფ. თებერვლიდან კი თქვენ არ გამოგიგზავნიათ ქაღალდის გადაკარგვისა გამო. აი, ეს გარემოება იყო მიზეზი ფულის მანდ აღების და არა ის, ვითომ სულ მანდ ვყოფილიყო და არა ხარკოვში. რაც შეეხება ტელეგრამის პასუხის თქვენგან გამოუგზავნელობის მიზეზს, რომ პასუხისთვის ფული არ იყო გადახდილი, მოგახსენებთ, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილისთვის ისიც გასაკვირველი იყო, რომ ტელეგრამის გამოსაგზავნი ფული მომიხერხებია. ბ-ნი მაჭავარიანი იმასაც ბრძანებს, რომ სტ. ჯაფარიძემ 1908 და 1909 წლების განმავლობაში გამოიცვალა ორი უნივერსიტეტიო. მე გადმოვედი ყაზანის უნივერსიტეტიდან 1907 წ. შემოდგომაზე, როდესაც თქვენი სტიპენდია არა მქონია, ხარკოვის უნივერსიტეტიდან კი გამოვედი 1909 წ. შემოდგომაზე ჩემს ძმასთან. დასასრულ, ბ-ნ მაჭავარიანს ვუმეორებ იმას, რომ ოქტომბრის ხვედრი ფული (15 მ.) ჯერაც არ მიმიღია, რადგან იმათ გაუგზავნიათ ხარკოვში და მე კი კიევის უნივერსიტეტში ვიყავი.

სტუდენტი **სვიმონ ჯაფარიძე.**

*) ამ წერილის დაბეჭდა დაგვიანდა. რედ.

## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. | 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. | 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. | 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. | 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. | 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. | 38 წ. |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. | 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. | 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—დამ. | 12 ს. | 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. | 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. | 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. | 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. | 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, სწრფ —საღამ. | 10 ს. | 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. | 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. | 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. | 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. | 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. | 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. | 33 წ. |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აჯეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ, გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—91)

**გამოვიდა და იყიდება**
ტფილისში, წ. კ. საზ. მერკვილაძის და გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართულ თეატრის მსახიობთადმი მათის სურათებით: **„ცოლი ვიტირო თუ ფული“**—მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, **„უმანკოის ბრალია“**,—გედევან გედევანოვისადმი,—**„ბედმა მიღალატა“**,—ვასო აბაშიძისადმი, **„უშნო არშიყი“**, და სხვა. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25% გამორიცხვით. წიგნის ფასები 10—20 კაპეიკი.
ადრესი: ტფილისი (დიდუბე) ალ. თუთაევი. (10—240—6)

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**
**„ნაკადული“**
(წელიწადი მეექვსე)
1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:
**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.
გარდა ამისა **მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.
**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

დაიბეჭდა და ურიგდება ხელის მომწერთ
◀ BATON-ის წიგნი: ▶
**„ერი და კაცობრიობა,**
**განხილულნი სოციოლოგიურის მხრივ“**
28 აპრილს წიგნები დაურიგდებათ იმ ხელის მომწერთ, ვინც ხელი მოაწერა „დროების“ რედაქციაში და წ. კ. ს. წიგ. მაღაზიაში გ. ივ. აიალიშვილთან.
ვისაც წიგნზე ხელი არ მოუწერია, შეუძლიან იყიდოს „დროების“ კანტორაში, წ.-კ. საზოგადოების ან სხვა წიგნის მაღაზიაში. წიგნი ღირს **ექვს აბაზად.** (3—3)

დაიბეჭდა და პირველ მაისს დაურიგდება ხელისმომწერლებს **მაისის** ნომერი ჟურნალ
**„განათლებისა“**
შემდეგი შინაარსით: 1. «სამშობლოს გაცნობა». იპ.ვართაგავასი; 2. „სწავლა აღზრდის საქმე ძველ საქართველოში“ (X—XIII საუკ.), დასასრული. სამ. ცომაიასი; 3. «ბუნების შესწავლა სახალხო სკოლებში», ლ. ბ—ძისა; 4. „სოციოლოგია», სიმ. ავალიანისა; 5. „ჰაერის ანუ ატმოსფერის ელექტრონი“, ე. ალშიბაიასი; 6. „ადამ და ევა“, (პეჟინსკისა). თარ. ე. ფ—ვასი; 7. „მოხუცი და ახალგაზდა“, ლექსი აკაკისა; 8. «მხიარული ღორი“, სალტიკოვისა (შჩედრინისა), თარგ. განწირულისა; 9. «ეს მესამე ჩარეუზანა“, ლექსი ირ. ევდოშვილისა; 10. „სულა და ღმერთები» (დასასრული), ბაჩანასი; 11. „ცრუ-მორწმუნეობა სამეგრელო-აფხაზეთში“, ერასტი როდონაიასი; 12. „საუბრისა და ბუნების მეტყველების პროგრამა საქართველოს სახალხო სკოლებისათვის; 13 რუსეთი: სასკოლო საკითხი სახელმწიფო საბჭოში, კაზაბერისა; 14. მოწერილი ამბები: ქუთაისიდან—ფარისა, ახალციხიდან—კ. გვარამაძისა, პეტერბურგიდან—ლადო გეგეჭკორისა; 15. ბიბლიოგრაფია—განისა; 16 ცხოვრებიდაა და მეცნიერებიდან.
ჟურნალის ფასი წლიურად 3 მან. სოფლის მასწავლებელთათვის—2 მან. ტფილისში ხელის მოწერა მიიღება ქ. შ. წ. კ. საზ. წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. მისამართი: Тифлисъ, Грузинская Дворянская гимназія Л. Г. Боцвадзе.
(3—2) რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

**ყ ვ ე ლ ა მ,**
ვისაც სურს გააკეთოს რაიმე სავაჭრო ან სხვა საქმე თავისავე ინტერესების სასარგებლოდ, წინ და წინვე უნდა შეიხედოს ნამესტნიკის მიერ ნება დართულ კავკასიაში ერთად-ერთ
**სავაჭრო-სამრეწველო ბიუროში**
**ი. ფონ-ზრენერისა.**
**სერგეევის ქ. № 4.**
იქ იგი მიიღებს სინდისიერ და საქმიან რჩევას, საჭირო ცნობას და სხვას. იქვე დროს დაუკარგველად შეიძლება მოგვარება ყოველგვარ საქმისა, დაწერა ხელშეკრულებისა, კონტრაქტისა, შედგენა ხარჯთ-აღრიცხვისა, პროექტებისა, შენობათა გეგმებისა, შემოწმება საანგარიშო წიგნებისა, გადათარგმნა სხვა-და-სხვა ენებზე საბუთის ქაღალდებისა, შედგენა წერილებისა და სხვა, თანაც შეუძლიან ხსენებული ბიუროთი ისე ისარგებლოს, როგორც თავის საკუთარ კაბინეტით. კანტორა სულ მცირე ფასს იღებს. გამოცდილი მოსამსახურეები. საკომერციო საიდუმლოს სასტიკად დაცვა. (10—ლგ.—1)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა
**„როზა“**
**ტფილისი, უჩების შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.**
**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—7)

**მიიღება ხელის მოწერა**
ყველაზე იაფ ახალ ყოველ თვიურ სურათებიან, ლიტერატურულ და მეცნიერულ-პოპულიარულ ჟურნალზე
**„ისკრი ჟიზნი“**
(ცხოვრების ნაპერწკლები)
(„ИСКРЫ ЖИЗНИ“)
ლიტერატურულ განყოფილების გარდა, ჟურნალში იქნება განყოფილებანი: პედაგოგიური, პოლიტიკურ-ეკონომიური, ბიბლიოგრაფიული, ხელოვნება და პროვინციის ცხოვრება. დაიბეჭდება აგრეთვე პოპულიარული სამეცნიერო წერილები ცოდნის სხვა და სხვა დარგზე. მოთავსებული იქნება ანგარიშები და მიმოხილვანი ქალთა და მუშათა მოძრაობაზე, აგრეთვე კოოპერატიულ მოძრაობაზე რუსეთსა და საზღვარ-გარედ.
ჟურნალი დასურათებული იქნება ცნობილ მხატვართა სურათებით, თანამედროვე მოღვაწეთა პორტრეტებით, ყოველ მიმდინარე მოვლენის სურათით და სხვ. დამატებასავით ჟურნალს თან მიჰყვება ნოტები.
ჟურნალის რედაქციას აზრადა აქვს გამოსცეს სულ მცირე ფასიანი სერიოზული და საინტერესო ჟურნალი—საოჯახო, მოწაფეთათვის, შრომელ ინტელიგენციისა, გლეხებისა და მუშებისათვის.
ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ლიტერატორები, პუბლიცისტები, მეცნიერები და მხატვრები.
—ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ი ს ფ ა ს ი—
75 კაპ. წელიწადში—12 წიგნზე 75 კაპ. გაგზავნით.
ხელის მოწერა წელიწადზე ნაკლებ ვადაზე არ მიიღება.
ხელის მოწერა მიიღება ჟურნალის რედაქციაში: С. Петербургъ Вас. остр., 5 линія, д. N 46, кв. 12. (3—3)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი
**მ. ა. გაყონია**
იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:
(0—9) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

**სანერგე ამერიკულ ვაზისა**
**„კლო-ეგურული“ ქუთაისში.**
● **უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში** ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—ნ.—40)


სტამბა „ხინათლე“ რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი ॥. ს. აბლაძე,